



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში

„დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი,
ხარისხიანი და ეფექტიანი,
გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული,
მართლმსაჯულება“

2017 - 2019



სარჩევი

I.	სასამართლო სისტემის პროგრესის საერთაშორისო აღიარება.....	1
II.	დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.....	7
III.	ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.....	20
IV.	ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	32
V.	ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა	40
VI.	განხორციელებული და სამომავლო აქტივობები სტრატეგიული მიმართულებებით.....	46



I. სასამართლო სისტემის პროგრესის საერთაშორისო აღიარება



**მსოფლიო ბანკის
„ბიზნესის კეთების ანგარიში**

**„სასამართლო რეფორმების
შეფასება საქართველოში“**
IPSOS 39 FRANCE“-ის,
„Amicus Curiae“-ის, პროფესორი იან ვან დაიკის და
საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის

საქართველო მსოფლიოს მასშტაბით მე-6 სახელმწიფოა ბიზნესის კეთების ინდექსის მიხედვით. ასეთი წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი არის საქმეთა შემთხვევითი ელექტრონული განაწილების სისტემის შემოღება.

„საქმეთა შემთხვევითმა ელექტრონულმა განაწილებამ გააუმჯობესა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვის ხარისხი და ხელი შეუწყო ხელშეკრულებების აღსრულებას, რაც ბიზნესის კეთების გამარტივების ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება.“

საქართველოში სასამართლო არის:

- ✓ **სამართლიანი** - მოსახლეობის **55%** ეთანხმება
- ✓ **სანდო** - მოსახლეობის **52%** ეთანხმება
- ✓ **დამოუკიდებელი** - მოსახლეობის **51%** ეთანხმება.

Georgia

- ✓ **Starting a business**
Georgia made starting a business easier by allowing voluntary value added tax registration at the time of business incorporation.
- ✓ **Paying taxes**
Georgia made paying taxes easier by levying income tax on distributed profits rather than on taxable profits. At the same time, Georgia made paying taxes more difficult by requiring value added tax to be imposed on advance payments for goods and services.
- ✓ **Enforcing contracts**
Georgia made enforcing contracts easier by introducing random and automatic assignment of cases to judges throughout the courts.

ფრეიზერის ინსტიტუტის 2019 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ანგარიში

ადამიანის თავისუფლების ინდექსით საქართველო ლიდერი სახელმწიფოა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

სამართლის უზენაესობის მიმართულებით – წინ უსწრებს ევროპულ სახელმწიფოებს: ბულგარეთს, ბელარუსს, სერბეთს, უკრაინას, სომხეთს, აზერბაიჯანს.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მაჩვენებლით – საქართველო წინ უსწრებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს – ბულგარეთს, ხორვატიას, უნგრეთს, პოლონეთს და სლოვაკეთს; ასევე სხვა ევროპულ სახელმწიფოებს – მოლდოვას, უკრაინას, სომხეთს, სერბეთს და ა.შ.


სასამართლოს მიუკერძოებლობის მაჩვენებლით – საქართველოს შეფასება, ზემოხსენებული სახელმწიფოების გარდა, აღემატება იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, ესპანეთის, რუმინეთის, ჩეხეთის, უკრაინის, საბერძნეთის და სხვა ევროპული სახელმწიფოების შედეგებს.


Personal Freedom	Economic Freedom	Freedom Rank	Country	Score
7.53	7.94	41	1. Georgia	7.74
7.15	7.70	54	2. Armenia	7.42
7.05	6.92	67	3. Kyrgyz Republic	6.98
6.69	7.10	73	4. Kazakhstan	6.90
6.10	6.34	121	5. Azerbaijan	6.22
5.49	6.05	138	6. Tajikistan	5.77

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის სამართლის უზენაესობის ინდექსი 2019

სამართლის უზენაესობის ინდექსის მიხედვით საქართველო საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, მოწინავე პოზიციაზეა ასევე საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოებს შორის.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით, სამართალწარმოება ქართულ სასამართლოებში უფრო დროულად და ეფექტიანად იქნა მიჩნეული, ვიდრე ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში, როგორცაა ბულგარეთი, ხორვატია, საბერძნეთი, პორტუგალია, რუმინეთი და სლოვენია.





მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის სამართლის უზენაესობის ინდექსი

2020

2020 წლის 11 მარტს გამოქვეყნდა მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის (WJP) კანონის უზენაესობის ინდექსის 2020 წლის კვლევის შედეგები.

კვლევის თანახმად, კანონის უზენაესობის დაცვის კომპონენტში საქართველო არის რეგიონის ლიდერი და იკავებს პირველ ადგილს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 14 ქვეყანას შორის. საქართველო პირველ ადგილს იკავებს აგრეთვე ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის.

საქართველოს 2019 წელს პირველი ადგილი ეკავა დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე 30 ქვეყნის ჯგუფში. 2020 წელს საქართველომ გადაინაცვლა მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე 42 ქვეყნის ჯგუფში და დაიკავა მე-7 ადგილი. მსოფლიო მასშტაბით მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის საქართველოს უკეთესი შედეგები აქვს ვიდრე არგენტინას, სამხრეთ აფრიკას, ბრაზილიას, რუსეთს, ჩინეთს და სხვა ქვეყნებს.

ევროპის კონტინენტის მასშტაბით საქართველო იკავებს მე-20 ადგილს და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: ბულგარეთი, უნგრეთი, თურქეთი, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, სერბეთი, უკრაინა, ბოსნია-ჰერცეგოვინა და სხვა.

კანონის უზენაესობის ინდექსის 2012-2013 წლის კვლევაში საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მე-11, ხოლო საშუალო დაბალი შემოსავლის ქვეყნების ჯგუფში მე-12 ადგილს იკავებდა.

გარდა ამისა, საქართველო სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინდექსის რამდენიმე კომპონენტში აღწევს უკეთეს შედეგებს, ვიდრე ევროკავშირის წევრი ქვეყნები:

- საქართველოში უფრო ხელმისაწვდომია სამოქალაქო მართლმსაჯულება, ვიდრე - იტალიაში, პოლონეთში, რუმინეთში, საბერძნეთში, უნგრეთსა და ჩეხეთში;
- სამოქალაქო მართლმსაჯულება უფრო ეფექტიანი და სწრაფია, ვიდრე იტალიაში, უნგრეთსა და საბერძნეთში;
- სისხლის სამართალწარმოება უფრო ეფექტიანი და დროულია, ვიდრე პორტუგალიაში, სლოვენიაში, რუმინეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, ესტონეთსა და ესპანეთში;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება უფრო მიუკერძოებელი და კორუფციისგან თავისუფალია, ვიდრე სლოვენიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ხორვატიასა და რუმინეთში.

2020 Index of Economic Freedom

მართლმსაჯულების ეფექტიანობა

საქართველო

- ევროპის საუკეთესო ოცეულში
- საუკეთესო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის

მოწინავე გლობალური კვლევითი ცენტრის ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის (The Heritage Foundation) 2020 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევის თანახმად, მართლმსაჯულების ეფექტიანობის (Judicial Effectiveness) კომპონენტში საქართველო ევროპის 45 ქვეყანას შორის შედის საუკეთესო ოცეულში. საქართველოს სარეიტინგო ქულა 2020 წელს გაიზარდა 3.3 ერთეულით. შედეგად, ქართულმა მართლმსაჯულებამ ერთი საფეხურით გააუმჯობესა პოზიცია 2019 წლის შედეგთან მიმართებით და მე-19 ადგილიდან გადაინაცვლა მე-18 ადგილზე.

The Heritage Foundation-ის 2020 წლის კვლევის თანახმად, საქართველოს სასამართლო სისტემა ეფექტიანობით წინ უსწრებს ევროკავშირის არაერთ წევრ ქვეყნას, მათ შორის - ესპანეთს, იტალიას, პოლონეთს, საბერძნეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, უნგრეთს, ლატვიას, რუმინეთს, ბულგარეთს, სლოვაკეთს და სლოვენიას.

The Heritage Foundation

The Heritage Foundation-ის სასამართლო ეფექტიანობის კვლევა თავის თავში მოიაზრებს შემდეგ კომპონენტებს: სასამართლო დამოუკიდებლობა, სასამართლო წარმოების ხარისხი და საქმის მოგების ალბათობა.

2020 წლის კვლევამ ყველა ამ კომპონენტთან მიმართებით დაადასტურა საქართველოს სასამართლოების მიერ მიღწეული წარმატებები.

The Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევა მათ შორის ეფუძნება დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ კვლევებს.

ეფექტიანი მართლმსაჯულება ევროპის რეიტინგი

№	2019 წელი	ქულა	2020 წელი	ქულა
1.	გაერთიანებული სამეფო	85.9	დანია	84.6
2.	შვედეთი	84.0	ნორვეგია	82.8
3.	შვეიცარია	82.0	გაერთიანებული სამეფო	82.7
4.	ფინეთი	81.2	შვეიცარია	81.5
5.	ნორვეგია	81.2	ფინეთი	80.5
6.	დანია	77.8	შვედეთი	79.9
7.	ესტონეთი	76.0	ლუქსემბურგი	74.4
8.	გერმანია	75.4	გერმანია	74.3
9.	ნიდერლანდები	74.7	ნიდერლანდები	73.9
10.	ლუქსემბურგი	72.4	ესტონეთი	73.7
11.	ავსტრია	71.3	ავსტრია	73.2
12.	ირლანდია	68.4	საფრანგეთი	71.2
13.	საფრანგეთი	66.1	პორტუგალია	65.6
14.	პორტუგალია	64.3	ირლანდია	64.4
15.	ისლანდია	63.8	ისლანდია	63.2
16.	ბელგია	61.6	ბელგია	62.5
17.	ლიტვა	61.2	ლიტვა	62.1
18.	მაკედონია	60.7	საქართველო	57.9
19.	საქართველო	54.6	რუმინეთი	56.1
20.	კოსოვო	53.5	მონტენეგრო	55.3
21.	რუმინეთი	51.9	სომხეთი	54.1
22.	მონტენეგრო	51.8	თურქეთი	53.7
23.	ბელორუსი	51.7	ესპანეთი	51.8
24.	ესპანეთი	51.4	იტალია	51.3
25.	მალტა	50.4	ლატვია	51.1

II. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა

2017-2019 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ, გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები, ცვლილებები შეეხო მისი ფორმირების წესს. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად მუშაობდა. 2017 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა 23 სხდომა, 2018 წელს - 47, ხოლო 2019 წელს - 45 სხდომა. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა 835 გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალისხმევით, პრაქტიკაში წარმატებით დაინერგა სასამართლო სისტემის ინსტიტუციური და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ახალი გარანტიები. სამწლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნათლად დადასტურდა, რომ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებაა და მისი განმტკიცებისაკენ სწრაფვა შეუქცევად პროცესს წარმოადგენს.



2.1.მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გაძლიერება

2.1.1. ინსტიტუციური დამოუკიდებლობა



უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა და საბჭოს უფლებამოსილება:

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, უზენაესი სასამართლოს წევრების შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის განმსაზღვრელ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაში აქტიურად იყო ჩართული იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სარეფორმო ჯგუფის ფორმატში, საბჭომ წარადგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების თაობაზე საკანონმდებლო წინადადებები. საბოლოოდ,

ცვლილებების შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და პარლამენტისათვის წარდგენის უფლებამოსილება. განისაზღვრა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმები, დეტალურად გაიწერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურები. აღსანიშნავია ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე მიღებული ახლებური რეგულაცია, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეგისტრაციის საკითხს. ცვლილებების თანახმად, ამ უკანასკნელს პროცედურის არცერთ ეტაპზე არ აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს კანდიდატების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლებით, ან კითხვით მიმართოს სხვა კანდიდატებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მათი მოსმენისას.

2019 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის ორი პროცედურა ჩაატარა. 2019 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით დაწყებულ პირველ პროცედურასა და ამავე წლის ნოემბერში ჩატარებულ განმეორებით კონკურსში, ჯამში, დარეგისტრირდა 160 განმცხადებელი. რაც შეეხება კანდიდატებთან გასაუბრების ეტაპს, იგი გამოირჩეოდა პროცესის ხანგრძლივობის, დასმული კითხვების ინტენსივობისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ორივე პროცედურის ჯამში, შერჩევის მომდევნო ეტაპზე გადასული კანდიდატებიდან, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით და საბოლოოდ პარლამენტს წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 27 კანდიდატი.

ამდენად, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 2019 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმატებით განხორციელდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესი, რომელიც მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართა, გასაუბრებაზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდა ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, ასევე გასაუბრებას პირდაპირი ტრანსლაციის რეჟიმში ფართო საზოგადოება ადევნებდა თვალს.



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი უფლება-მოვალეობები:

ცვლილებები შეეხო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლება-მოვალეობათა ფართო სპექტრს: საბჭოს მიენიჭა მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების გატარების თაობაზე თანხმობის მიცემის უფლებამოსილება.

ახლებურად დარეგულირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი და ეს უფლებამოსილება ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურების დასახელების

უფლება კი აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/5-ს.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება.

ქვემდგომი ინსტანციების მოსამართლეების და სასამართლოების თავმჯდომარეების შერჩევის პროცესის დახვეწის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატა საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნა. ამასთან, კანონი დეტალურად განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ კენჭისყრის ჩატარების შემდეგ გამოსაქვეყნებელი გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტს, კერძოდ, დასაბუთება უნდა შეიცავდეს პროცედურის აღწერას და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მათ შორის, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და დასკვნას მისი კეთილსინდისიერების თაობაზე. დასაბუთებას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია დაწეროს განსხვავებული აზრი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობის კუთხით, აღსანიშნავი სიახლეა სასამართლოს მოსამართლეთა ჩართულობის შემოტანა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის პროცესში. კერძოდ, პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებას ხელს უწყობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულების განსაზღვრა მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოს წინაშე და ქმნის დამატებით გარანტიების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შიდა სისტემური კონტროლისათვის.

მოსამართლეთა ჩართულობა სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში:

სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობა უზრუნველყოფილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში და მოსამართლეებისგან წერილობითი შენიშვნების/კომენტარების მიღების მიზნით, საერთო სასამართლოების ინტრანეტზე შესაბამისი დოკუმენტების განთავსებით. 2018 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლს დაემატა „გ¹“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების

პროცესში, აგრეთვე მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კონფერენციებში მოსამართლეთა ფართო ჩართულობას, მიუხედავად სასამართლოების ინსტანციურობისა და სამოქმედო ტერიტორიისა.

2.1.2. ინდივიდუალური დამოუკიდებლობა

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა:

საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხორციელდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე და ეს წესი ვრცელდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც. 2017 წლის 1 ივლისამდე თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის მიმართ, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება აქვს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, წყდება კანონით დადგენილი შემოწმების პროცედურები და იგი უვადოდ გამწესდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს დამატა 13² მუხლი, რომლითაც ამომწურავად განისაზღვრა თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომელსაც სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება აქვს.




ახალი კონსტიტუციური კანონის თანახმად, მოსამართლეთა (მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა) უვადოდ დანიშვნის წესის დადგენამ კიდევ უფრო გაზარდა მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გარანტიები, რაც არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე გაიწერა, არამედ განმტკიცდა საბჭოს სამწლიანი აქტიური მუშაობის შედეგად. 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, საერთო სასამართლოებში 287 მოსამართლიდან თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, დანიშნული იყო 26 მოსამართლე, ხოლო 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 282 მოსამართლიდან თანამდებობაზე უვადოდ გამწესებულია 219 მოსამართლე.



მოსამართლეთა შეფასების პროცესი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მნიშვნელოვანი და შრომატევადი საქმიანობა გასწია 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცესში. 2017-2019 წლებში 3 წლის გამოსაცდელი ვადით მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა 18 მოსამართლე. 2017 წლის ივნისიდან

დღემდე მონიტორინგის ფარგლებში: 36 მოსამართლე შეფასდა მონიტორინგის სამივე წლის მონაცემების მიხედვით და თითოეულზე შეიქმნა 6 დასკვნა საბჭოს სხვადასხვა წევრის მიერ (ორ-ორი დასკვნა თითოეულ წელს); 9 მოსამართლე შეფასდა მონიტორინგის მხოლოდ ორი წლის მონაცემების მიხედვით და თითოეულზე შეიქმნა 4 დასკვნა საბჭოს სხვადასხვა წევრის მიერ (ორ-ორი დასკვნა თითოეულ წელს); 15 მოსამართლე შეფასდა მონიტორინგის მხოლოდ ერთი წლის მონაცემების მიხედვით და თითოეულზე შეიქმნა 2 დასკვნა საბჭოს სხვადასხვა წევრის მიერ. მთლიანობაში, საბჭოს წევრებმა მოამზადეს 222 დასკვნა 111 მოსამართლის მიმართ. სხვადასხვა ეტაპზე თითო მოსამართლე წევრმა მოამზადა საშუალოდ 16 დასკვნა, ხოლო თითო არამოსამართლე წევრმა - 20 დასკვნა. საშუალოდ, დასკვნის მოცულობა შეადგენს 14 გვერდს. ჯამში, ყველა მოსამართლემ დააკმაყოფილა უვადოდ განწესების პირობები და შესაბამისად, საბჭომაც მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლედ მათი უვადოდ დანიშვნის თაობაზე.



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ მომზადებული დასკვნა ხელმისაწვდომია შეფასებული მოსამართლისათვის. აღსანიშნავია, რომ არცერთ შეფასებულ მოსამართლეს არ გამოუთქვამს რაიმე შენიშვნა ან უკმაყოფილება შეფასების შედეგების გამო ან მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მხრიდან მათი დამოუკიდებლობის დარღვევისა თუ უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე. აღსანიშნავია, კანდიდატის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შემოღება, რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დარეგულირდა: დადგინდა გასაჩივრების საფუძველები, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, გასაჩივრების წესი და ვადა;

მოსამართლეთა შეუცვლელობის ახალი გარანტიები:

კონსტიტუციას დაემატა დებულება, რომლის თანახმადაც, მოსამართლის შეუცვლელობა გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ გამწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

ქალ მოსამართლეთა ასოციაციის ჩამოყალიბება:

მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად პროგრესული ნოვაციაა საქართველოს საერთო სასამართლოების ქალ მოსამართლეთა მიერ „საქართველოს ქალ მოსამართლეთა ასოციაციის“ დაფუძნება. ასოციაციის ძირითადი მიზნებიდან ნათლად ჩანს, რომ ქალ მოსამართლეთა როლის გააქტიურება - სასამართლო სისტემაში გენდერული მგრძობელობის, სამოსამართლო საქმიანობისათვის მხარდაჭერის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ხელშეუვალობის და მიუკერძოებლობის დაცვის მიმართულებებით, მნიშვნელოვნად გაზრდის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ხარისხს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში სამოსამართლო თანამდებობებზე ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ და მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ თავიანთი აქტიურობა მიმართონ სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე.



საქართველოს ქალ მოსამართლეთა ასოციაციამ აქტიურად დაიწყო მუშაობა საგანმანათლებლო და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. კერძოდ, ჩატარდა ქალ მოსამართლეთა ასოციაციის პირველი კონფერენცია - „ქართული სასამართლოს განვითარების უახლესი ისტორია, პერსპექტივა და გამოწვევები“.

ამასთან, ასოციაციასა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ერთობლივი სასწავლო

ღონისძიებების (ლექციები, სემინარები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.) დაგეგმვასა და განხორციელებას. გარდა ამისა, შედგა ასოციაციის გამგეობის შეხვედრა ევროკავშირის პროექტის - „მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა“ ხელმძღვანელთან, მოსამართლე რენატა ვინტერთან და ასევე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მხარეებმა იმსჯელეს პრობლემების იდენტიფიცირების და არსებული გამოწვევების დაძლევის გზებზე და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო მიმართულებებზე. ასოციაცია მომავალშიც ხელს შეუწყობს ქალ მოსამართლეთა ჩართულობას მართლმსაჯულების აქტუალური საკითხების განხილვაში.


მოსამართლეთა ფინანსური უზრუნველყოფის გაუმჯობესება:

გაიზარდა მოსამართლეთა ფინანსური დამოუკიდებლობა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2018 წლის ცვლილებებით გაიწერა მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობა. ასევე, ორგანული კანონით განმტკიცდა მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შემცირების დაუშვებლობა მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში, რაც მყარი გარანტიაა მოსამართლეთა ფინანსური დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/65 გადაწყვეტილებით დაწესდა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი. ამასთან, „საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ამომწურავად განისაზღვრა დანამატის გაცემის შემთხვევები.

2.2. მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის გაძლიერება

მართლმსაჯულების განხორციელება დამოუკიდებელია იმაზე, თუ რამდენად მიუკერძოებლად აღსრულებენ კანონს მოსამართლეთა. გადაწყვეტილებები, რომლებიც დღეს მიიღება, მნიშვნელოვნად წარმოაჩენს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცულობის ხარისხს სასამართლო სისტემაში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილი პერიოდულობით წარედგინებოდა საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, სამართალწარმოების სამივე მიმართულებით. აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მიუკერძოებლობის თვალსაჩინო ტენდენციები სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში. ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების ლიბერალიზაცია გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მდგომარეობაზე მთლიანად ქვეყანაში. რაც ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვიანობის სტატისტიკურ მონაცემებშიც. აუცილებელია ხაზი გაესვას სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მიუკერძოებლობის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვის თვალსაჩინო შედეგებს, რაც ამავდროულად სასამართლოს განვითარების სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მიმართვიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსადმი:



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS


COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

შემცირების საერთო ტენდენცია და საგრძნობი ზრდა ამ მიმართულებით არც უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში არ ფიქსირდება. მაგალითად, 2009 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობა უტოლდებოდა 2122-ს, წინა საანგარიშო პერიოდის დასაწყისში 102-ს, ხოლო მოცემულ საანგარიშო პერიოდში 89-99-მდე საჩივარს. ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება სახეზეა, რაც თავის

ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა 2017 წელს უტოლდებოდა 89-ს, ხოლო 2018 წელს - 99 საჩივარს. 2008 წლიდან მოყოლებული შენარჩუნებულია საჩივრებით მიმართვიანობის მაღალი დონე, რაც უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში არც უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში არ ფიქსირდება. მაგალითად, 2009 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობა უტოლდებოდა 2122-ს, წინა საანგარიშო პერიოდის დასაწყისში 102-ს, ხოლო მოცემულ საანგარიშო პერიოდში 89-99-მდე საჩივარს. ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება სახეზეა, რაც თავის

მხრივ გულისხმობს, რომ ეროვნულ დონეზე უფლებათა სასამართლოს გზით დაცვის გარანტიები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

იხ. დიაგრამა



ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის გაძლიერება:


ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი მონაპოვარია მიუკერძოებელი მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ინსტიტუტის გაძლიერება და მისი მასშტაბების ზრდა საანგარიშო პერიოდშიც აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ღირებული და ნაყოფიერი იყო, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მოსამართლეთა სასწავლო ვიზიტები, რომელიც შეეხებოდა ნაფიც მსაჯულთა საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და პრაქტიკის გაცნობას. საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული სტანდარტების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვის მიზნით. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის, მაიკლ გრანტის მიერ შემოთავაზებული ამერიკული მოდელის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ერთიანი ინსტრუქციები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის თაობაზე. აუცილებელია ასევე ხაზი გაესვას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კერძოდ: საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და გორის, თელავისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში განახორციელა სამუშაოები, ნაფიც მსაჯულთა საჭიროებებზე სასამართლოების ინფრასტრუქტურის მორგების მიზნით. შედეგად, ყველა ის სასამართლო, სადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, იქმნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულება 300 000 ლარს შეადგენს.

მიუკერძოებლობის თვალსაჩინო ტენდენციები სისხლის სამართალწარმოების პროცესში:

საანგარიშო პერიოდში იზრდებოდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ გამამართლებელი განაჩენების მკვეთრი ზრდა კვლავ სახეზეა, კერძოდ, თუკი


2014 – 2017 წლებში გამამართლებელი განაჩენი ჯამში დადგა 573 პირის მიმართ, მხოლოდ 2019 წლის მონაცემი აღემატება წინა საანგარიშო პერიოდის სამი წლის მაჩვენებელს.

იხ. დიაგრამა:




საანგარიშო პერიოდში შემცირებულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ შენარჩუნებულია წლების განმავლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევების შემცირების ზოგადი ტენდენციაც.

იხ. დიაგრამა:




შენარჩუნებულია ასევე პროკურატურის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხის შემცირების ზოგადი ტენდენციაც, კერძოდ: თუკი 2013 წელს პროკურატურის შუამდგომლობებიდან გირაოს თანხის ნაწილში 43% სრულად კმაყოფილდებოდა, 2017-2019 წლებში სასამართლომ გირაოს თანხის მოთხოვნის ნაწილში 74-79%-მდე შუამდგომლობებისა შეცვალა და შეამცირა თანხის ოდენობა.

იხ. დიაგრამა




აღსანიშნავია, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი 2017 წელს იყო 24 %, 2018 წელს 25 %, ხოლო 2019 წელს - 23%, როდესაც 2013-2016 წლებში აღნიშნული მონაცემი საშუალოდ უტოლდებოდა 30 %-ს.

იხ. დიაგრამა




წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც მცირდებოდა თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, კერძოდ: 2017-2019 წლებში 8 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 775 პირს, როდესაც 2013-2016 წლებში აღნიშნული მონაცემი 898-ს უტოლდება. შემცირდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევები:

იხ. დიაგრამა



კიდევ ერთი დადებითი მაჩვენებელი, რომელიც წლების განმავლობაში შენარჩუნებულია და ტენდენციად ჩამოყალიბდა, არის ის, რომ საკასაციო ინსტანციაში საჩივრდება პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილული სისხლის სამართლის საქმეების არაუმეტეს 6%.


იხ. დიაგრამა



მიუკერძოებლობის თვალსაჩინო ტენდენციები ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში:


აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ფიქიკური პირების მიერ საგადასახადო ორგანოს წინააღმდეგ დავების მოგების სტაბილურად გაუმჯობესებული პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ფიზიკური პირების მიერ საგადასახადო ორგანოს წინააღმდეგ მოგებული დავების პროცენტული მაჩვენებელი 2017 წელს 23,4%-ს, 2018 წელს - 27,4%, 2019 წელს კი 24,3%-ს შეადგენდა. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, რომელშიც მოქალაქის მიერ საგადასახადო ორგანოს წინააღმდეგ მოგებული დავის პროცენტული მაჩვენებელი 14,2-16,6%-ს შორის მერყეობდა, ამასთან, საყურადღებოა, რომ 2017-2019 წლებში მოქალაქის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მოგებული დავების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მონაცემებში.

იხ. დიაგრამა:



მცირეა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული პატიმრობა. 2017 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 3,2%-ს, 2018 წელს 6 %-ს ხოლო 2019 წელს აღნიშნული მონაცემი უტოლდებოდა 4,9%-ს, როდესაც წინა საანგარიშო პერიოდიდან: 2014 წელს ხსენებული მონაცემი უტოლდებოდა 6.2 %-ს, 2015 წელს - 5.3 % და 2016 წელს 4.3 %-ს. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად შემცირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის სახდელდადებულ პირთა რაოდენობაც, თუკი 2013 წელს ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირთა ხვედრითი წილი 89,2%-ს შეადგენდა, 2017-2019 წლებში ეს მაჩვენებელი 60-63%-მდე არის შემცირებული.

იხ. დიაგრამა:




მიუკერძოებლობის თვალსაჩინო ტენდენციები გამოვლინდა სამართალწარმოების პროცესში:

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საერთო სასამართლოებში (პირველი ინსტანცია) დასრულებულ სამოქალაქო საქმეთა სტატისტიკური მონაცემების თანახმად იკვეთება, რომ ყოველწლიურად მზარდია საქმეთა მორიგებით დასრულების მაჩვენებელი. მორიგებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობის ზრდა,


თავის მხრივ, ადასტურებს, რომ სასამართლო ორიენტირებულია ორივე მხარის ინტერესების მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე.

იხ.დიაგრამა:



მიუხედავად იმისა, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაზრდილია სააპელაციო სასამართლოში დასრულებულ საქმეთა რაოდენობა, საკასაციო წესით გასაჩივრების მაჩვენებელი ინარჩუნებს სტაბილობას.

იხ.დიაგრამა:





„მართლმსაჯულება უფრო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია“

საზოგადოებრივი აზრი

მომხმარებელთა კვლევის თვალსაჩინო შედეგი¹,

იხ. დიაგრამები:

2019 წლის იანვარი



2019 წლის ივლისი

¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, 2019 წელი.

III. ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

მართლმსაჯულების ხარისხსა და ეფექტიანობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებისათვის. ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად არსებითი მნიშვნელობა აქვს სისტემის და მოსამართლეთა კორპუსის დაკომპლექტებას პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრებით, ასევე მოხელეთა და მოსამართლეთა გადამზადებას თანამედროვე მეთოდებით, რასაც საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი სკოლის სისტემური და ფუნქციური გაძლიერებისათვის გადადგმულმა ქმედითმა ნაბიჯებმა არსებითად შეუწყო ხელი. სასამართლო სისტემის ცენტრალიზებული მენეჯმენტის შემოღებამ უფრო ეფექტური გახადა ადამიანური რესურსებისა და საქმეთა ნაკადის მართვა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კვლევები საქმეთა გაზრდილი რაოდენობისა და მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, რომლის შედეგადაც გამოვლინდა მოსამართლეთა რაოდენობის ზრდის და სხვა ქმედითი ღონისძიებების გატარების საჭიროება. სწორედ ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში თანამდებობაზე გამწესდა მეტი მოსამართლე წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საერთო სასამართლოების სისტემაში განისაზღვრა საქმეთა განმხილველი მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები, ასევე დაინერგა საქმეთა ავტომატური განაწილების ინოვაციური სისტემა. 2017-2019 წლებში განხორციელდა უპრეცედენტო რაოდენობის ძვირადღირებული IT პროექტები, საანგარიშო პერიოდი გამოირჩევა ასევე საინტერესო და ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული მიღწევებით, რამაც გაზარდა სასამართლოს მომსახურების ხარისხი და უფრო ეფექტიანი გახადა საზოგადოებისათვის შეთავაზებული სერვისი.



3.1. ხარისხიანი მართლმსაჯულება

საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურისა და პროგრამის დახვეწა:

2018-2019 წლებში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა. ახლებურად განისაზღვრა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა და განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საგამოცდო პროგრამაში დაიხვეწა ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ნაწილი. ასევე, შეიცვალა საგამოცდო კომისიის ფორმირების წესი. გათვალისწინებული იქნა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევები, რაც მიანიშნებს სისტემის პრიორიტეტებზე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა უფლებებთან მიმართებაში.

2018 წლის ზაფხულში, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით გაუმჯობესდა საგამოცდო პროგრამის ფუნქციონალი და უსაფრთხოების სტანდარტები. ხოლო, 2019 წლის იანვარში, USAID/PROLoG-ისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ერთობლივი ფინანსური დახმარებით, კომისიის წევრებმა განაახლეს საგამოცდო ტესტები, განახორციელეს მათი ვალიდაცია და ფსიქომეტრიული ანალიზი.



იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფართომასშტაბიანი რეფორმა:


საანგარიშო პერიოდში გატარდა განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანი ღონისძიებები იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლების, მსმენელთა სასწავლო პროგრამის დახვეწის, სკოლის თანამშრომელთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, დისტანციური სწავლების თანამედროვე მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებებით.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა შერჩევის წესის დახვეწა, გაორმაგებული სტიპენდია, სასწავლო პერიოდის ზრდა, სასწავლო კურსის მოდერნიზაცია, მსმენელთა სტაჟირების პროგრამების გაუმჯობესება ის მნიშვნელოვანი ცვლილებებია, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემაში მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების შემოძინებას და იუსტიციის უმაღლესი სკოლის ბაზაზე კვალიფიციური და კომპეტენტური მოსამართლეობის კანდიდატების მომზადებას. სასამართლოს რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომელთა თანახმადაც არსებითად გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის უფლებამოსილება და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. კერძოდ, 2020 წლის სექტემბრიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, იუსტიციის მსმენელების ჩარიცხვის კონკურსს სწორედ სკოლა ჩაატარებს, პროგრამის ხანგრძლივობა კი გაიზარდება 16 თვემდე. ამასთან, უცხოელი ექსპერტების და ქართველი მოსამართლე-ექსპერტების ჩართულობით, განახლდა მომზადების პროგრამის შინაარსობრივი მხარე და კურიკულუმები. გარდა ამისა, გაუმჯობესდა იუსტიციის მსმენელების სტაჟირების პროგრამა და ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ,

მათ საშუალება ექნებათ, სტაჟირება გაიარონ არა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, არამედ - საერთო სასამართლოების სისტემაში, საკონსტიტუციო სასამართლოში, პროკურატურასა და ადვოკატურაში და ა.შ. ზემოაღნიშნული ცვლილებების თითოეული კომპონენტი დადებითად აისახება ზოგადად ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაზე.

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის მსმენელთა მიღების და სასწავლო პროგრამის გავლის მონაცემები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი.

იხ. დიაგრამა:



ასევე, აღსანიშნავია, წინგადადგმული ნაბიჯები თავად იუსტიციის უმაღლესი სკოლის მმართველობისა და სტრატეგიული გეგმის განვითარების მიმართულებით. კერძოდ, 2019 წელს შეირჩნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრები და არჩეულ იქნა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი. ამავე წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და ექსპერტების მონაწილეობით, შემუშავდა სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომელმაც მოიცვა სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები და ორიენტირებულია სწავლების ხარისხის გაძლიერებაზე.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning-ის პროექტის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერების შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით, 2018 წელს შემუშავდა სასწავლო მოდული „ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებშივე, გაძლიერდა თანამშრომლობა ევროპის სამოსამართლო სწავლების ქსელთან (EJTN), რის შედეგადაც დაფინანსდა 20 პირის (მოქმედი მოსამართლეების, სასამართლოს სხვა მოხელეებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლების) მონაწილეობა EJTN-ის მიერ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზებულ ტრენინგებში, რომელიც შეეხებოდა, როგორც სამართლებრივ, ისე სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს.



2018 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს და სკოლის მენეჯმენტის მიერ მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლაში დაინერგა ხარისხის მართვის

სისტემა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რათა შეექმნა წინაპირობა, კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მუშაობის შედეგები. ევროპის საბჭოს პროექტის - „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლებმა გაიუმჯობესეს ცოდნა და უნარები, როგორც სასწავლო ციკლის დაგეგმვასა და მართვაში, ასევე ტრენინგის საჭიროებათა შეფასების პროცესის მიმართულებით. 2019 წლის 29 ნოემბერს სკოლას გადაეცა სერტიფიკატი #707110701, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 31 ოქტომბერს.


ევროპის საბჭოს პროექტის - „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, ევროპის საბჭოს ექსპერტებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლე-ექსპერტების მიერ ერთობლივად შემუშავდა არაერთი საინტერესო სასწავლო მოდული. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning-ის პროექტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი იყო დისტანციური სწავლების დანერგვა, რასაც წინ უძღოდა მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა მოხელეების საჭიროებების ანალიზი. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა დისტანციური სწავლების პროგრამები მოსამართლეთა და სასამართლოს



სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. ამავე პროექტის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში შეიქმნა დისტანციური სწავლების პლატფორმა, „MOODLE“ პროგრამის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა დისტანციური სწავლება თემაზე - „ადამიანის

უფლებათა ევროპული სტანდარტები (სისხლისსამართლებრივი ასპექტები)“. გარდა ამისა, 2018 წლის ბოლოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ადაპტირდა და განხორციელდა HELP-ის კურსი თემაზე: „განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართალში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სასამართლოს 20-მა მოხელემ.

იხ. ინფორმაცია მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამაში მონაწილეთა შესახებ:



სასამართლოს მოხელეთა გადამზადება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო, კერძოდ საანგარიშო პერიოდში - ჯამში, სასამართლოს მოხელეებისთვის ჩატარდა 106 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1542-მა სასამართლოს მოხელემ; მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გაერთიანებულ 16 ტრენინგს კი დამატებით დაესწრო 116 სასამართლოს მოხელე.

საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების მოზიდვისა და წახალისების მიზნით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, 2018-2019 წლებში საერთო სასამართლოებიდან შერჩეული

მოსამართლის თანაშემწეებისა და ანალიტიკური სამსახურების წარმომადგენლების ცოდნის და უნარების განვითარების მიზნით, მოეწყო მართლმსაჯულების ზამთრისა და ზაფხულის სკოლები.

3.2. ეფექტიანი მართლმსაჯულება

სასამართლო მენეჯმენტის ცენტრალიზებული სისტემა:

ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნა, რომელიც საერთო სასამართლოების ადმინისტრირებასა და მენეჯმენტზე ზედამხედველობის გაუმჯობესებაზეა პასუხისმგებელი. აღნიშნული დეპარტამენტი შეისწავლის საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საერთო სასამართლოების დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლებს, ასევე - მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ ინფორმაციას; ზედამხედველობს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას და წარადგენს შესაბამის რეკომენდაციებს; ზედამხედველობს საერთო სასამართლოების რესურსები ეფექტიან გამოყენებას; შეისწავლის საერთო სასამართლოებში არსებულ მენეჯერულ გამოცდილებას და ხელს უწყობს მენეჯერული კულტურის დანერგვას და საბჭოს წარუდგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს საერთო სასამართლოების ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე.

2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თანამდებობაზე აირჩია სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე და ამავე წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, მენეჯმენტის დეპარტამენტი გაძლიერდა ადამიანური რესურსებით (მათ შორის, დეპარტამენტთან გაერთიანდა საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი).

2019 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა საერთო სასამართლოებში არსებული ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის დახვეწაზე. აღნიშნული წესის დახვეწის მიზნებია: არსებული წესების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სასამართლოებში საქმისწარმოების არსებული პრაქტიკის კოდიფიკაცია, საქმისწარმოების წესის ელექტრონული საქმისწარმოებისა და საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა და სხვა.

2018-2019 წლებში რამდენჯერმე გაიმართა სასამართლოების მენეჯერთა ფორუმი, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, შეხვედრის ასეთმა ფორმატმა ხელი შეუწყო საერთო სასამართლოებში მენეჯერული გამოცდილების ურთიერთგაცვლას. სასამართლო მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის უნარების გაუმჯობესების მიზნით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერილი პროექტის – „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ – ფარგლებში, უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი მოსამართლე-ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა სასწავლო მოდულები: - სიღრმისეული კურსი სასამართლოს მენეჯმენტში სასამართლოს თავმჯდომარეებისა და სასამართლოს მენეჯერებისთვის; - მენეჯმენტი და ლიდერობა მოსამართლეებისთვის. 2017-2018 წლებში, აღნიშნული მოდულების გამოყენებით მოსამართლეებს, სასამართლოს თავმჯდომარეებსა და მენეჯერებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები.

ადამიანური რესურსების მართვა და მოხელეთა დამსახურებაზე ორიენტირებული სისტემა:

საანგარიშო პერიოდში სასამართლო სისტემაში გაიზარდა და გაძლიერდა ადამიანური რესურსები, ასევე ხარისხობრივად ამაღლდა დასაქმებულ მოხელეთა საქმიანობა მათი რანგირებისა და შეფასების სისტემის შემოღებით. კერძოდ, 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სისტემაში დასაქმებული იყო 1444 პირი, იგივე მონაცემი 2018 წელს უტოლდებოდა 1504-ს, ხოლო 2019 წელს - 1562-ს. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული(საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/237 გადაწყვეტილებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრა მოხელეთა რანგები. მნიშვნელოვანია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2018 წლიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში დაინერგა მოხელეთა შეფასების სისტემა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი. აღსანიშნავია, რომ სტაჟირებისა და პრაქტიკის ფარგლებში მთლიანი სასამართლო სისტემის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ კარგი შესაძლებლობა უშუალოდ გაეცნონ და ჩაერთონ სასამართლოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში, მიიღონ ღირებული პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისგან. გარდა ამისა, სტაჟირებისა და პრაქტიკანტების რესურსი სასამართლო სისტემაში ზრდის სასამართლოს მომსახურების ეფექტიანობას.

მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა და საჭირო რაოდენობის კვლევა:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი 2 კონკურსი. რომელთაგან პირველი კონკურსის შედეგად თანამდებობაზე გამწესდა 34 მოსამართლე, რომელთაგან 15 იყო სკოლის მსმენელი, 1 ყოფილი მოსამართლე, ხოლო 18 მოქმედი მოსამართლე. მეორე შემთხვევაში თანამდებობაზე გამწესდა 32 მოსამართლე, რომელთაგან 3 იყო სკოლის მსმენელი, 2 ყოფილი მოსამართლე, ხოლო 27 მოქმედი მოსამართლე.

2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სააპელაციო და რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში იყო მოსამართლის 338 საშტატო ერთეული, რაც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაიზარდა და ჯამში განისაზღვრა 378 საშტატო ერთეულით.

საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, USAID/PROLoG-ის პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ადგილობრმა ექსპერტებმა მოამზადეს საქართველოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შეფასების კვლევა. ექსპერტთა დასკვნით, არსებული საქმეების გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა




ამჟამინდელი რაოდენობა არასაკმარისია. გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, სასამართლოს სჭირდება 410 (ან 380-დან 450-მდე) მოსამართლე, რაც მოსამართლეთა არსებული რაოდენობის საშუალოდ 100 ერთეულით გაზრდას გულისხმობს. ამჟამად, USAID/PROLoG-ის ექსპერტი ახორციელებს კვლევის მეორე ეტაპს, რომელიც მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების სასამართლოებში განაწილების შეფასებასა და საქმეთა წონების განსაზღვრის გონივრული სისტემის შემუშავებას ისახავს მიზნად. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერტის დახმარებისა და კვლევის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია მოსამართლეებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა საქმეთა წონების განსაზღვრისა და საქმეთა ძირითადი ტიპების დაჯგუფების/რანჟირების პრინციპები.

საქმეთა მართვა და მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია:

მიღებული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ სასამართლოებში მომატებულია შემოსულ საქმეთა მაჩვენებელი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმეთა დასრულების და ნაშთის სახით დარჩენილ საქმეთა მაჩვენებლის ზრდაზე. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წელს სულ შემოვიდა 225 449 საქმე, რაც 2017 წლის მონაცემთან შედარებით (206 533) 18 916 საქმით მეტია. ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს დატვირთულობა ყოველწლიურად მზარდია. ამასთან, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, განხილულია 24 048 საქმით მეტი - 216 816 საქმე. ამასთან, 2019 წელს შემოვიდა სულ 229 791 საქმე და განხილულია 218 672 საქმე. აღსანიშნავია, რომ თუ განხილული საქმეების რაოდენობა 2017 წელს წარმოადგენდა შემოსული საქმეების 93.3 %-ს, 2019 წელს ეს მაჩვენებელი 95%-მდე არის გაზრდილი.

იხ.დიაგრამა:



სასამართლოებში შემოსულ საქმეთა მზარდი რაოდენობის მართვის, ასევე ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით, თბილისის საქალაქო სასამართლო და სააპელაციო სასამართლოში განისაზღვრა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგინდა ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლეთა სპეციალიზაციები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისა და ბავშვზე მორგებული გარემოს მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლეებისათვის დაწესდა სავალდებულო ტრენინგები. სასამართლო სისტემის გადატვირთულობის შემცირების მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამა, რომელმაც უზრუნველყო საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესაბამისი

თანამშრომლების გადამზადება და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სათანადო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საქმეთა ავტომატური განაწილება: მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა უფრო მაღალი სტანდარტის, მათი თანაბარი დატვირთულობის და სასამართლო სისტემის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რომლის თანახმად, რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 1 მაისს მიიღო №1/56 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. 2017 წლის ბოლოსათვის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა წარმატებით დაინერგა და ამოქმედდა ყველა საერთო სასამართლოში.



მოსამართლეთა შორის საქმეთა ავტომატური და შემთხვევითი განაწილების სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც საერთო სასამართლოების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვატია და მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მაქსიმალურ გამჭვირვალობას. საქმეთა ავტომატური განაწილება, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ეფუძნება მოსამართლეთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპს, რაც საქმისწარმოების პროცესში სრულად აკმაყოფილებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უმაღლეს სტანდარტებს. გარდა ამისა, საქმეთა ელექტრონულად, ავტომატური განაწილება ხელს უწყობს საქმის სწრაფ წარმოებას და უზრუნველყოფს მოსამართლეთა თანაბარ დატვირთულობას. საქმისწარმოების ელექტრონულმა სისტემამ მართლმსაჯულება უფრო დროული და ეფექტიანი გახადა. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში საქმისწარმოების პროგრამის უპრეცედენტო პროგრესი საგრძნობია, როგორც სასამართლოს მომხმარებლებისთვის, ასევე აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქმეთა ელექტრონული და შემთხვევითი განაწილების სისტემამ „გააუმჯობესა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვის ხარისხი და ხელი შეუწყო ხელშეკრულებების აღსრულებას“. საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა შექმნილია საერთო სასამართლოების საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ და მისი მოთხოვნები ეფუძნება თანამედროვე დაპროგრამების სტანდარტებს. სისტემის უსაფრთხოების მაჩვენებლები უზრუნველყოფს სისტემის დაცულობას, მესამე მხარის მიერ შეუღწევადობასა და საიმედოობას.

დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვა:

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მედიაციის შესახებ“. სასამართლოში საქმეთა ნაკადის შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, გაფართოვდა მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა წრე. ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018-2019 წლების მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აირჩია მედიაციის სტრატეგიის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. 2018 წელს, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, სისხლის სამართალსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიაციის გაფართოებასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მოსამართლეებთან, მედიატორებთან და სოციალურ მუშაკებთან ერთად, ესწრებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. 2018 წელს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, მოსამართლეთათვის მედიაციის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმა, მედიაციის პროგრამა და მედიატორის ანაზღაურების წესი. 2019 წელს მედიატორთა რეესტრში განხორციელდა იმ პირების რეგისტრაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ჩატარდა მედიატორთა პირველი კრება. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების დანერგვის მიზნით საბჭოს მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მედიაციის ახალი ინსტიტუტის სწრაფ და ეფექტურ დანერგვას პრაქტიკაში, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას ახდენს სასამართლოების განტვირთვასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე.

განხორციელებული IT პროექტები:

საერთო სასამართლოების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების მხრივ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების (ევროკავშირის პროექტი, ევროსაბჭოს პროექტი, USAID/PROLoG და GIZ) მხარდაჭერით, საქართველოს ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭომ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკვეთით, საქართველოს სასამართლო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის აუდიტი ჩატარა, რომლის ფარგლებშიც შეფასდა პროგრამული უზრუნველყოფის, ინფორმაციული კიბერუსაფრთხოების, ინფრასტრუქტურული, მმართველობისა და მენეჯმენტის საკითხები.

2017-2019 წლებში საერთო სასამართლოებში IT მიმართულებით განხორციელდა უმნიშვნელოვანესი და



მასშტაბური პროექტები, რომლის ფარგლებშიც მოეწყო _ ახალი სასერვერო პლატფორმები და ვირტუალიზაციის სისტემები, მონაცემთა რეზერვირების სისტემა, დაიხვეწა აუდიო-ვიდეო სისტემები, მოეწყო დისტანციური დაკითხვის ვიდეო საკონფერენციო სისტემა, დამონტაჟდა ვიდეო-სტრიმინგის საკონფერენციო კამერები და სტრიმინგ სერვერი, განახლდა ინტერნეტ, ქსელური და საკომუნიკაციო

სისტემები, მოეწყო დოკუმენტების/ნივთმტკიცებულებების ვიდეო პრეზენტაციის სისტემა, ახალი ქოლცენტრის და რიგის მართვის სისტემები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, განთავსდა სასამართლო საქმის წარმოების ელ. სისტემის დოკუმენტების სარეზერვო კოპიები, დაინერგა ინციდენტების მართვისა და ტექნიკის აღრიცხვის ცენტრალიზებული მენეჯმენტის სისტემა. 2019 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტების დანერგვა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით: - სისტემური და ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის, ვიზუალიზაციისა და ანალიტიკის პროგრამის კომპლექსური გადაწყვეტილება' - ქსელური უსაფრთხოების NG-Firewall სისტემა; - ინციდენტების მართვისა და ტექნიკის აღრიცხვის ცენტრალიზებული მენეჯმენტის სისტემა; - დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის(BGP) უზრუნველყოფა; - სარეზერვო ასლების შემნახველი სისტემები; - ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოების სისტემა; - ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის არქიტექტურის შემუშავება და ახალი სისტემებით ჩანაცვლება. IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგის პროგრამის კომპლექსური დანერგვისთვის კომპანიებმა: "Softline Georgia", "Oberig-IT", "Solarwinds" სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტს“ გადასცეს პრიზი - "ინფორმაციული ტექნოლოგიების წლის ინოვაციური პროექტი 2019" . საანგარიშო პერიოდში მრავალმხრივი და ძვირადღირებული IT პროექტების განხორციელებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასამართლოს გარე მომსახურებისა და შიდა სერვისების სტანდარტები, ინფორმაციული ტექნოლოგიების დახვეწამ გაზარდა სასამართლო სისტემის ეფექტიანობა.

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:



საანგარიშო პერიოდი საკმაოდ მრავალმხრივი იყო ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, რამაც მოიცვა სასამართლო სერვისის ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებული მასშტაბური სამუშაოები, კერძოდ: აშენდა ახალი სასამართლო შენობები, განხორციელდა სასამართლო შენობების და ეზოების რეაბილიტაცია (ფასადების მოპირკეთება, გამაგრებითი სამუშაოები, გამწვანება და ასფალტის საფარით მოპირკეთები), დამონტაჟდა ახალი წყალგაყვანილობის სისტემა და სახანძრო სიგნალიზაციის სისტემები, გაუმჯობესდა სასამართლოების შიდა ინფრასტრუქტურა, მოეწყო ახალი სხდომათა დარბაზები და გაიმართა ინვენტარი, სასამართლოს შენობები ადაპტირდა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებზე, მოეწყო ბავშვზე მორგებული გარემო - სპეციალიზებული ოთახები, მოეწყო ახალი არქივის შენობა და ოთახები, გაიზარდა საერთო სასამართლოების უძრავი ქონების ფონდი.

გაუმჯობესდა სასამართლოების ინფრასტრუქტურა

მთელი საქართველოს მასშტაბით



2017 წელი

9 სასამართლო

2018 წელი

15 სასამართლო

2019 წელი

11 სასამართლო

ხაზგასმას იმსახურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ახალი ფლიგელის გახსნა, რომელიც განსახილველ პერიოდში შეიძლება დასახელდეს ყველაზე კომპლექსურ ინფრასტრუქტურულ პროექტად, ვინაიდან ახალი შენობის მოწყობამ არსებითად გააუმჯობესა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამუშაო სივრცე და გაზარდა შეთავაზებული სერვისების ეფექტიანობა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში წარმატებით განხორციელებული პროექტების თითოეული ხაზი აერთიანებდა მრავალ ღონისძიებას, რამაც მთლიანობაში გააუმჯობესა სასამართლო მომსახურების ხარისხი.





„მართლმსაჯულება უფრო ეფექტიანი და ხარისხიანია“

საზოგადოებრივი აზრი²

მომხმარებელთა კვლევის თვალსაჩინო შედეგი,
იხ. დიაგრამები:

2019 წლის იანვარი



2019 წლის ივლისი

² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, 2019 წელი.


IV. ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველსაყოფად, გაიზარდა სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა, ამუშავდა სასამართლო გადაწყვეტილებების ახალი ვებ.გვერდი. შეიქმნა სასამართლო სისტემის კომუნიკაციის სტრატეგია, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერების მიზნით, გადაიდგა ნაბიჯები სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის. განსახილველ პერიოდში საერთო სასამართლოების სისტემა კვლავ ღია იყო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის, სასამართლო ტურების ფორმატში. აღსანიშნავი სიახლეა უფასო იურიდიული კონსულტაციის დაწესება სასამართლოში, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა უშუალოდ სასამართლო მოხელეებისგან მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. განსახილველ პერიოდში, სასამართლო სისტემის მიერ მაღალი სტანდარტით იქნა უზრუნველყოფილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გამართულად მუშაობდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ელექტრონული სისტემა, ხოლო გაცემული საჯარო ინფორმაციის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოწმობს, რომ სასამართლოს სისტემის პრიორიტეტია მიწოდებული სერვისის მაქსიმალური მორგება მოწყვლად კატეგორიებზე, რათა მართლმსაჯულება მათთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს. სამწლიანი მუშაობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სისტემა უფრო მეტად შეესაბამება შ.შ.მ. პირების საჭიროებებს მათზე ადაპტირებულ გარემოში სერვისების მიწოდების არხებისა და ფორმების შემუშავებითაც. სისტემაში საგულისხმო და პროგრესული განვითარება ჰპოვა ბავშვზე მორგებული გარემოს დაწესებამ. იმისათვის, რათა სამართალწარმოების ყველა მიმართულებით მართლმსაჯულება ორიენტირებული ყოფილიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, გაუმჯობესდა სასამართლო პროცედურები და შეიქმნა შესაბამისი გარემო.



სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება:

2018 წლის გაზაფხულზე ჩატარებული IT აუდიტის შედეგად, სასამართლო სისტემაში არსებული ყველა პროგრამის (მათ შორის, გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემის - info.court.ge) გამართული მუშაობის საკითხი შეფასდა. აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზის პროგრამული მოდულის შექმნის მიზნით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს შორის 2019 წლის 4 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ერთობლივი მუშაობის შედეგად, შემუშავდა სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მოდული.



2019 წლის 21 ივნისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიმართა სასამართლო გადაწყვეტილებების ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია. ვებგვერდის მეშვეობით, მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ მოძებნონ სასამართლოს მიერ მიღებული მათთვის სასურველი გადაწყვეტილება. საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის სისტემაში ატვირთული იყო 40095 საქმე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია:

2018 წლის 19 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით მომზადებული სასამართლო სისტემის კომუნიკაციის სტრატეგია. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია სასამართლო სისტემის ნდობის ამაღლება, სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებთან შეხვედრების ფორმალიზება, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და მედიასთან ურთიერთობის სისტემატიზაცია. სტრატეგია განსაზღვრავს სასამართლო სისტემის არსებულ შიდა და გარე კომუნიკაციის ძირითად მიმართულებებს. დოკუმენტში განხილულია კომუნიკაციის ტიპები, ასევე, საკომუნიკაციო საშუალებების, არხების, ინსტრუმენტების მრავალფეროვანი ნაკრები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის მიმართულებებად დასახელებულია: პრესასთან ურთიერთობა, სოციალური მედიის მართვა, ღონისძიებების მართვა და ა.შ. 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მოსამართლეების მონაწილეობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა გერმანელ მოსამართლე ელენ ბესტთან, რისი მიზანიც იყო სპიკერ-მოსამართლეებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ფუნქციონირების ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავება და დანერგვა. 2018 წლის 21 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო №1/192 გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში სპიკერ-მოსამართლეების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში დაინიშნა 10 სპიკერ-მოსამართლე.

საჯარო ინფორმაციის გაცემა:


2018 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 188 განცხადება, აქედან: ა) საჯარო ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 161 განცხადებაზე; ბ) 8 განცხადებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; გ) 13 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დ) 6 განცხადება გადაიგზავნა ქვემდებარეობით. ამასთან 2018 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული ადმინისტრაციულ საჩივარი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ) ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, დაკმაყოფილდა.

2019 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 94 განცხადება, აქედან: ა) საჯარო ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 76 განცხადებაზე; ბ) 9 განცხადებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; გ) 7 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დ) 2 განცხადება გადაიგზავნა ქვემდებარეობით; უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს იმ 9 გადაწყვეტილები, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არ გასაჩივრებულა.


საერთო სასამართლოების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ანგარიშების შესაბამისად, 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის დეკემბრამდე პერიოდში შევიდა 2806 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 2344 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; 2018 წლის საანგარიშო პერიოდში შევიდა 3269 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 2835 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; 2019 წლის საანგარიშო პერიოდში შევიდა 3169 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 2790 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; სსიპ „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის დეკემბრამდე შევიდა 14 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 14 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; 2018 წლის საანგარიშო პერიოდში შევიდა 23 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 23 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; 2019 წლის საანგარიშო პერიოდში შევიდა 13 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 13 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტში, 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის დეკემბრამდე შევიდა 86 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 79 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; 2018 წლის საანგარიშო პერიოდში შევიდა 94 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 86 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია; 2019 წლის საანგარიშო პერიოდში შევიდა 64 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელთაგან 61 განაცხადზე გაიცა საჯარო ინფორმაცია;

იხ. დიაგრამები:


საერთო სასამართლოების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია 2016 წლის დეკემბერი - 2017 წლის დეკემბერი



საერთო სასამართლოების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია 2018 წელი



საერთო სასამართლოების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია 2019 წელი





ღია კარის დღე და უფასო იურიდიული კონსულტაცია:

სასამართლო სისტემაში არსებული პროფესიების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაიონულმა/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სკოლის მოსწავლეებთან არაერთი შეხვედრა /ტური გამართეს, რომელსაც ესწრებოდნენ სასამართლოს მოხელეები და უშუალოდ მოსამართლეები. ღია კარის დღის ფარგლებში, დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებსა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ეწვიონ სასამართლოს, დასვან


შეკითხვები და აქტიურად ჩაერთონ დისკუსიაში, მოისმინონ ინფორმაცია სასამართლო სისტემის, მისი ფუნქციონირებისა და მოსამართლის როლის შესახებ, ხოლო ტურის დასასრულს დაათვალიერონ სასამართლო სხდომის დარბაზები. საანგარიშო პერიოდში, საერთო სასამართლოებში ჩატარდა არაერთი იმიტირებული პროცესი სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მოსამართლეების ერთობლივი ჩართულობით. 2019 წლის 1 თებერვალს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაცია „რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევის შესახებ“. რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2019 წლის 24 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ მოქალაქეებს უფასო იურიდიული კონსულტაცია გაუწია, რომლის ფარგლებშიც, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის მიმართულებით, ყველა დაინტერესებულ პირს კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობა მიეცა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცედურის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის 2 ივლისს ცვლილება შევიდა „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში. დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება, საბჭოს დაევალა გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული სახით ვებგვერდზე განთავსებაც. სარეფორმო ჯგუფის ფარგლებში მომზადებული ორგანული კანონის ცვლილებები კიდევ უფრო მეტად ზრდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობას და ადგენს იუსტიციის



უმაღლესი სხდომის გამართვამდე არანაკლებ სამი დღით ადრე სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების ვალდებულებას. ამასთან, სხდომის გამართვამდე არანაკლებ შვიდი დღით ადრე ვებგვერდზე გამოქვეყნდება სხდომაზე განსახილველი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის პროექტიც.



მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა:

სასამართლოსა და მართლმსაჯულების ხარისხისადმი საზოგადოების კმაყოფილების შეფასების მიზნით, 2018 წლის 17 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის წესი დაამტკიცა. წესის თანახმად, საერთო სასამართლოებში ყოველ 6 თვეში ერთხელ ტარდება სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რისთვისაც, შესაბამისი სასამართლოს მენეჯერის ხელმძღვანელობით, იქმნება კვლევის საორგანიზაციო ჯგუფი. კვლევის საორგანიზაციო ჯგუფს ზედამხედველობას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელიც კვლევის შედეგების მიღებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოფს მათ განზოგადებასა და იუსტიციის

უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენას.

2019 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების 2 კვლევა. პირველ შემთხვევაში, სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა ჩატარდა 2019 წლის 21 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით, ხოლო მეორე შემთხვევაში, 2019 წლის 1 ივლისიდან 5 ივლისის ჩათვლით. კმაყოფილების კვლევა მოიცავდა სასამართლოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის, ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის შეფასების კითხვარს, რომლის შედეგებიც ასახულია ანგარიშის შესაბამის თავებში და ცხადყოფს თითოეული სტრატეგიული მიმართულებით მიღწეულ შედეგებს.


მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული სასამართლო მომსახურება:

შ.შ.მ. პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის უზრუნველსაყოფად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ჩაატარა სასამართლო შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შედეგად, სასამართლოების შენობების მისადგომებთან და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო პანდუსები, ასევე, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, სადაც შ.შ.მ. პირებისათვის ადაპტირებადი საჭირო მოწყობილობები განთავსდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ფლიგელის შენობა აღიჭურვა შ.შ.მ. პირთათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ.გვერდი ადაპტირებულია შ.შ.მ. პირებისათვის. GIZ-ის მხარდაჭერით, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, 2 სამუშაო შეხვედრა გაიმართა გერმანელი 123 ექსპერტის – ფრიდრიხ შნიტგერისა და ბერლინის სასამართლოს მოსამართლის – მარია მამერის მონაწილეობით, შ.შ.მ პირთა უფლებების საერთო სასამართლოების სამართალწარმოებაში სათანადო დაცვის მიზნით. 2018 წლის 15-16 ივნისს, მსგავსი შეხვედრა მოეწყო დასავლეთ საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებისთვის. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მხარდამჭერის საქმის წარმოება გახსნიდან

გადაწყვეტილების გამოტანამდე – მხარდაჭერის საქმეების განმხილველი მოსამართლის საკვანძო როლი გერმანულ სამართალში, მოზრდილების დაცვა და მხარდაჭერა ადამიანის უფლებების (შეზღუდული შესაძლებლობების) პერსპექტივიდან გამომდინარე, ასევე, გაეროს შ.შ.მ პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის გავლენა მხარდაჭერის საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე.

ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული სასამართლო სისტემა:

გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის – „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ – ფარგლებში, მომზადდა კვლევა თემაზე – „ბავშვზე მორგებული გარემო მართლმსაჯულების სისტემაში: კონცეფცია“. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა არაერთი ინსფრასტრუქტურული სამუშაო, რათა სასამართლოები აღჭურვილი ყოფილიყო ბავშვისათვის ადაპტირებული გარემოს



შესაბამისი სასამართლო დარბაზებით. დამატებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაინერგა თანამედროვე ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტები, კერძოდ, მოეწყო სამი საკანი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განსათავსებლად. სამოქალაქო საქმეებზე არასრულწლოვანთათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად, საოჯახო-სამართლებრივი დავების განმხილველი მოსამართლეები განთავსდნენ ბავშვზე მორგებულ გარემოში, საქალაქო სასამართლოს ბაზაზე არსებულ ცალკე შენობაში, რომელიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი შენობის ბაზაზე მოეწყო და აღიჭურვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი 3 (სამი) სხდომის დარბაზით, 5 (ხუთი) სამუშაო ოთახითა და არასრულწლოვნებთან შეხვედრებისათვის განკუთვნილი ოთახით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბავშვზე მორგებული გარემო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიზნით შეიმუშავა სასწავლო კურსის კურიკულუმები, რომლის შესაბამისადაც ჩატარდა ტრენინგები მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთათვის. 2019 წლიდან ამოქმედდა ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი.


„მართლმსაჯულება ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა“

საზოგადოებრივი აზრი³

მომხმარებელთა კვლევის თვალსაჩინო შედეგი,

იხ. დიაგრამა:

2019 წლის ივლისი



³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, 2019 წელი.

V. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

მართლმსაჯულების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც პასუხობს სისტემაში არსებულ გამოწვევებს და ეფუძნება დამოუკიდებლობის, ობიექტურობის და განჭვრეტადობის პრინციპებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი ღონისძიება მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმების დახვეწისა და იმპლემენტაციის მიზნით, რაც შესრულდა მართლმსაჯულების რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში. მნიშვნელოვანი ცვლილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოსათვის საქმიანობის ანგარიშის წარდგენის ვალდებულების განსაზღვრა, რამაც გააფართოვა სისტემის შიდა ინსტიტუციური ანგარიშვალდებულება. გარდა ამისა, ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების გაძლიერების ერთ-ერთი სტრატეგიული კომპონენტია სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების სტანდარტისა და ხარისხის ამაღლება, რათა მართლმსაჯულების განხორციელების შედეგი გასაგები და აღქმადი იყოს პროცესის მონაწილეებისა და საზოგადოებისათვის. დასაბუთებული გადაწყვეტილება სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და მისი დახვეწისა და მისაღებობის ხარისხის ზრდისათვის განხორციელებული ღონისძიებები უნდა იძლეოდეს მრავალმხრივი ანალიტიკური კვლევისა და დაგროვილი ინფორმაციის განზოგადების შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზნით, საერთო სასამართლოების სისტემაში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ანალიტიკური და პრაქტიკის განზოგადების განყოფილებების სტრუქტურული და ფუნქციური გაძლიერებისათვის. გადაწყვეტილების მიღებისას კარგად დამუშავებულ და გაანალიზებულ საერთაშორისო და ეროვნულ პრაქტიკაზე, ასევე სწორად განზოგადებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობა, ერთმნიშვნელოვნად გაზრდის მოსამართლეთა მხარდაჭერის ხარისხს, შეცვლის და გააძლიერებს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას.



დისციპლინური სამართალწარმოება და დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა:



დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2017 წლის 20 ნოემბერს კონკურსის შედეგად, თანამდებობაზე აირჩია პირველი დამოუკიდებელი ინსპექტორი, ხოლო დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ნაწილობრივ 2018 წლის 07 თებერვლიდან, ხოლო სრულად 04 აპრილიდან დაკომპლექტდა. დამოუკიდებელი ინსპექტორი,


დისციპლინური საქმის გამოკვლევის მიზნით, გამოითხოვს, სწავლობს და აფასებს ყველა საჭირო ინფორმაციას, დოკუმენტს და მასალას. დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის შეზღუდული საჩივარში მითითებული გარემოებებით. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემას შეიძლება საფუძვლად დაედოს ის გარემოებები, რომლებიც მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივარში, განცხადებაში ან სხვა ინფორმაციაში მითითებული არ ყოფილა და რომლებიც წინასწარი შემოწმების დროს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გამოვლინდა. საქმის გარემოებების მოკვლევის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორი შეისწავლის მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელ, ისე დამამძიმებელ გარემოებებს. დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიმართ განხორციელებული წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის შედეგებს დასკვნისა და მოსაზრებების სახით წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ.

2018 წლის 20 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატა XIII¹ თავი, რომელიც არეგულირებს დისციპლინურ სამართალწარმოების საკითხებს.

მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღის ფარგლებში დაიხვეწა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური გადაცდომის სახეები. კერძოდ, სიახლეს წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედებისათვის, დისციპლინური წარმოების პროცესში დამკვიდრდა ახალი - დასაბუთებული ვარაუდისა და ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტები, ახლებურად განისაზღვრა დისციპლინური გადაცდომის სახეები. გაიზარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებები, კერძოდ მას მიენიჭა სხვადასხვა ბაზებთან წვდომის უფლება, ის ასევე უფლებამოსილია დასაბუთებული წერილით მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებით სხვა ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიენიჭა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება. გაიზარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიებიც, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმის ნაწილში. ამასთან, გათვალისწინებული იქნა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაც.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ წარდგენილი იქნა საქმიანობის 2 ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2017-2019 წლებში საჩივართა განზოგადების შედეგებსა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციებს.

იხ.დიაგრამა:



საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარუდგინა 231 საჩივრის საფუძველზე მიღებული 214 დასკვნა. აღნიშნული დასკვნების განხილვის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 274 გადაწყვეტილება: 235 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, 39 გადაწყვეტილება მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. საბჭომ იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო 28 საქმეზე, საიდანაც მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა შეწყდა 20 საქმეზე, ხოლო გადაწყვეტილება მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ მიღებულ იქნა 8 საქმეზე. სადისციპლინო კოლეგიასა და ერთ შემთხვევაში სადისციპლინო პალატაში საქმეთა განხილვის შედეგად 8 საქმიდან, 5 საქმეზე მოსამართლეები გამართლდნენ, ხოლო 3 საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილებები შეეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების 4 ფაქტს, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების 3 ფაქტს, სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევის ერთ ფაქტს.

დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს დამოუკიდებელი დოკუმენტბრუნვა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანხმობის გარეშე არ შეიძლება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის მიმდინარე ხარჯებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 30 აგვისტოდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარია ცალ-ცალკე ფუნქციონირებს. დისციპლინური საჩივარი შესაძლებელია შეტანილი იქნეს, როგორც წერილობითი სახით, ისე ელექტრონულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ.გვერდის გამოყენებით. საჩივრით მიმართვის პროცედურის კიდევ უფრო გამარტივებისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, სასამართლოებში განთავსებულია საჩივრის ყუთები. ევროპის საბჭოს პროექტის დახმარებით, შეიქმნა დამოუკიდებელი

ინსპექტორის სამსახურის ვებ.გვერდი, სადაც განთავსებულია დისციპლინური საჩივრის ფორმა და შევსების ინსტრუქცია, ასევე ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების შესახებ.

ანგარიშვალდებულება მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოს წინაშე:



კონსტიტუციამ განსაზღვრა საბჭოს ანგარიშვალდებულება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. რეფორმის ე.წ მე-4 ტალღის ცვლილებების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც ასევე ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 6 კონფერენცია, ჩვეულ პრაქტიკად იქცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა და ამ გზით კონფერენციის წინაშე საბჭოს ანგარიშვალდებულების შესრულება.

საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშები:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადდა და დროულად გაიგზავნა:

- „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების ანგარიში;
- „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების ანგარიში;
- ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის შესრულების ანგარიში;
- „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების ანგარიში;
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის ანგარიშები;
- კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის მეოთხე ეტაპის შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ნატოს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შესრულების ანგარიშები;
- ადამიანის უფლებათა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR)

ანგარიშები;

- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიშები;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის ანგარიშები;

• „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების ანგარიშები.

სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხის ზრდა:



სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის გაზრდისათვის სასამართლო სისტემაში დღის წესრიგში დადგა ანალიტიკური ფუნქციების მქონე სტრუქტურული ერთეულების განვითარების საჭიროება, ასევე საინფორმაციო რესურსების ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ერთიანი სტანდარტების შემოღების საჭიროება. ამ მიმართულებებით საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავი აქტივობები მოიცავდა პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების მეთოდოლოგიის შემუშავებას, განზოგადებისა და ანალიტიკური განყოფილების თანამშრომელთა გადამზადების პროგრამებს, სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის მეთოდოლოგიის და კრიტერიუმების შემუშავებისათვის ტრენინგ-მოდულების განხორციელებას. 2017 წლის ნოემბერში, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ადგილობრივმა ექსპერტმა მოამზადა კვლევის სახელმძღვანელო გზამკვლევი, რომელიც განიხილავს დოკუმენტის/კვლევის სახეებს, სამართლებრივ ანალიზს, დოკუმენტების სტრუქტურასა და სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების სტანდარტებს. აღნიშნული დოკუმენტის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციის ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლები. ევროკავშირის პროექტისა და USAID/PROLoG-ის მიერ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მწერალი თანამშრომლებისათვის, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე. გაიზარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკაზე ხელმისაწვდომობა, კერძოდ: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, უზენაეს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის, 2017 წლის დასაწყისში გაფორმდა მემორანდუმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო ბაზის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ქართული ინტერფეისის შექმნის თაობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლის განყოფილებამ, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, მოამზადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის ტერმინთა განმარტება ქართულ ენაზე. გარდა ამისა, HUDOC-ის ვებ.გვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე ნათარგმნი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 885 გადაწყვეტილება. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ.გვერდზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, დაიწყო მუშაობა მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ხარისხის შეფასებაზე ერთგვარი საორიენტაციო დოკუმენტის მომზადებაზე. ამასთან, 2018 წელს, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების გაძლიერება“ დისტანციური სწავლების კურსი „განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე“. 2019 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) თანამშრომლობის ფარგლებში, სასამართლოს მოხელეებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტები კომერციულ დავებზე. ასევე, 2019 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, მოსამართლეებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „გადაწყვეტილების დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში“. მომავალში დაგეგმილია არაერთი ღონისძიება სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლებისათვის, როგორც ანალიტიკური კვლევების, ისე სასწავლო ტრენინგ-მოდულების შემუშავებისა და განხორციელების კუთხით.

„მართლმსაჯულება უფრო ანგარიშვალდებულია“

საზოგადოებრივი აზრი⁴

მომხმარებელთა კვლევის თვალსაჩინო შედეგი,
იხ. დიაგრამები:

2019 წლის იანვარი



2019 წლის ივლისი

⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, 2019 წელი.

VI. განხორციელებული და სამომავლო აქტივობები სტრატეგიული მიმართულებებით




ზემოაღნიშნულ ანგარიშში ასახულია ყველა ის ძირითადი და მნიშვნელოვანი მიღწევა, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამწლიანი საქმიანობის მანძილზე სასამართლო სისტემის სტრატეგიის წარმატებული შესრულების ნათელი დადასტურებაა. საბჭოს ძალისხმევა რეფორმის ტალღის ყველა მიმართულებაში მაქსიმალურად ორიენტირებული იყო უფრო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, უფრო ხარისხიანი და ეფექტური, უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფაზე და საბჭომ შეასრულა ანგარიშვალდებულება გაწეული სამუშაოსა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. თუმცა, რეფორმა გრძელდება და სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიული განვითარების შემდგომ ეტაპებზე, საბჭოს კონკრეტული მიზნები აქვს დასახული.





ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კარგად აქვს გაცნობიერებული მისი როლის მნიშვნელობა ამ პროცესში, შესაბამისად, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით აგრძელებს მუშაობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად დამტკიცებული სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის განხორციელებაზე.

სამოქმედო გეგმის ხუთ სტრატეგიულ მიმართულებაში გაწერილი პროგრამების შემადგენელი აქტივობების შესრულების მაჩვენებლები ასეთია:

იხ. დიაგრამა:





სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესს თან სდევდა გარკვეული გამოწვევები, რის გამოც, აქტივობების ნაწილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში ვერ შესრულდა და შესაბამისად, მათ დანერგვაზე მუშაობა სამომავლოდ გაგრძელდება. ხსენებულ გამოწვევებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, 2017 წლის ზაფხულში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის განახლებამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ვადები ავტომატურად შეცვალა;
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების ნაწილის შესრულება საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს, შესაბამისად, მათი შესრულება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების ნებაზე არ იყო დამოკიდებული;
- აქტივობების დიდი ნაწილი სისტემაში მნიშვნელოვანი სიახლეების დანერგვას გულისხმობს, შესაბამისად, სისტემურ მიდგომას საჭიროებს. ასეთი სიახლეებს წარმოადგენს, მაგალითად, შეფასებისა და დაწინაურების აბსოლუტურად ახალი სისტემის დანერგვა. შეფასებისა და დაწინაურების წესის განსაზღვრა გარდაუვალია სასამართლოს სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის, თუმცა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საანგარიშო პერიოდში მიზანშეუწონლად მიიჩნია ახალი სისტემის შემოღება, რადგან ამ დონის გადატვირთულობის ფონზე, ის მოსამართლეებს რთულ და უსამართლო მდგომარეობაში ჩააყენებდა.
- სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, გასული წლის ზაფხულში სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ერთწლიანი პროგრესის ანგარიში. უახლოეს მომავალში იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს სამოქმედო გეგმის შესრულების მეორე ერთწლიან ანგარიშსა და გეგმის შესრულების ორწლიანი შეფასების ანგარიშს, მათ საფუძველზე კი დაამტკიცებს სტრატეგიის

იმპლემენტაციის მომდევნო 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმას. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულები არიან ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე. მათ მოსაზრებებისთვის გაეგზავნათ სამოქმედო გეგმის პროექტი, გეგმის შესრულების მეორე ერთწლიან ანგარიშთან ერთად.

მოსამართლეთა კომპენსაციის სისტემის დახვეწის საჭიროება:

მოსამართლეთა კომპენსაცია ხორციელდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. ერთ-ერთ გამოწვევას მოსამართლეთა სოციალური გარანტიების გაზრდის თვალსაზრისით წარმოადგენს მოსამართლეთა კომპენსაციების ოდენობა და მათზე კომპენსაციის გაცემის მექანიზმი/მოდელის დახვეწა, რაც დამატებით ფინანსურ რესურსს საჭიროებს და ამ მიმართულებით საბჭო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ხელისუფლების სხვა შტოებთან. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ ეტაპზე მუშაობს შესაბამისი საპენსიო მოდელის შერჩევაზე. ამას გარდა, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მოსამართლეთა ანაზღაურების დაუცველობა ინფლაციისგან.

ანგარიშვალდებულების მიმართულებით :

მე-4 ტალღის ცვლილებებიდან გამომდინარე დასახვეწია მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი და შესაქმნელია ეთიკის საბჭოს დებულება, აღნიშნულ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად მუშაობს.

ეფექტიანობისა და ხარისხიანობის მიმართულებით :

მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირე:

უმნიშვნელოვანესია მოსამართლეთა რაოდენობის ოპტიმალურ მინიმუმამდე გაზრდა, როგორც უკვე აღინიშნა, ავტორიტეტული კვლევებით დასტურდება, რომ არსებული სამოსამართლო შტატების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ ოპტიმალურ სტანდარტებს და აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა სამოსამართლო შტატების რაოდენობის მინიმუმ 100 ერთეულით გაზრდა, ამასთან, ზოგ სასამართლოში ოპტიმალური ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია აპარატის მოხელეთა რაოდენობის გაზრდაც.

შესაქმნელია სასამართლოთა ეფექტიანობის შეფასების სისტემა, განსავითარებელია ხარისხის სტანდარტები, გადასაწყვეტია მოსამართლეთა პერიოდული შეფასებისა და მოსამართლეთა დაწინაურების სისტემების საკითხი, გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა, მათ შორის, მნიშვნელოვან სამუშაოებს საჭიროებს IT ინფრასტრუქტურის გამართვა.

მედიაციის სფეროში განსახორციელებელი აქტივობები:

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული მედიაციის პროგრამის დროული და ეფექტიანი განხორციელება. პროგრამის თანახმად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს მედიაციის ამოქმედება დიდ სასამართლოებში. ამას გარდა, პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისკენ.

გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მიმართულებით :

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაამტკიცებული სასამართლო სისტემის კომუნიკაციის სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით, შემუშავების პროცესშია სასამართლო კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა.

ღია კარის დღე და უფასო იურიდიული კონსულტაცია:

საზოგადოებაში სასამართლოს ნდობის ამაღლების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, იგეგმება საერთო სასამართლოებში „ღია კარის დღის“ ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპების და სხვა რელევანტური საკითხების გაცნობას.